# კონფიდენციალურობის პოლიტიკა

მოცემული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა (შემდგომში - „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“) განკუთვნილია ფიზიკურ პირთა განუსაზღვრელი ჯგუფებისთვის (შემდგომში - „მომხმარებელი“) ააიპ ააიპ დოგს ამბულანსე. უსახლკარო ძაღლების დახმარების კლუბი არ იდარდო (ს/კ: 430804141)“ საიტის ვიზიტორებისა და რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის, საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, მარტვილის რაიონი, სოფ. დიდიჭყონი, ტელ: +995 551 045 771 (შემდგომში - "ფონდი"), ინტერნეტის დომენი (მათ შორის ყველა დომენი და შერჩეული გვერდები) https://www.ambulancedog.com/ (შემდგომში "საიტი") და მოქმედებს ყველა ინფორმაციაზე, რომლითაც სარგებლობს საიტის ან /და ცალკეული სერვისების გამოყენების დროს.

## 1. ტერმინთა განმარტებები

კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტება

**კანონმდებლობა** - ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიყენება პერსონალური მონაცემების დამუშავების რეგულირებისთვის. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონის "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გატვალისწინებით, რომლის მოქალაქეებიც არიან (რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეც იმყოფებიან) საიტის მომხმარებლები შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

**პერსონალური მონაცემების კონტროლერი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განსაზღვრავს პირადი მონაცემების დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს და პირველ რიგში პასუხისმგებელია მათ დამუშავებაზე. პირადი მონაცემების კონტროლერს კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად წარმოადგენს ფონდი.

**პერსონალური მონაცემების დამუშავება** - ნებისმიერი ოპერაცია (ოპერაციების ერთობლიობა) რომელიც სრულდება პერსონალურ მონაცემების მიმართ, ავტომატური პროცედურების გამოყენებით ან მათ გარეშე როგორიცაა: შეგროვება, ჩაწერა სისტემატიზაცია, სტრუქტურიზაცია, შენახვა, ცვლილება, თანმიმდევრობა, ნახვა, გამოყენება, წაშლა, გავრცელება ან წარდგენა ნებისმიერი სახით მესამე პირისთვის, მათ შორის პერსონალური მონაცემების კონტროლერის თანამშრომლებისათვის ან მისი უფლებამოსილი პირისათვის.

**პერსონალური მონაცემები** - პერსონალური ხასიათის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ფიზიკური პირის (მონაცემთა სუბიექტის) იდენტიფიცირების საშუალებას აძლევს მესამე პირს. ამ შემთხვევაში იდენტიფიცირებად პირში იგულისხმება ფიზიკური პირი, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოვლენილი იყოს კონკრეტული იდენტიფიკატორის მითითებით (სახელი, გვარი, დოკუმენტის ნომერი, სხვა იდენტიფიკატორი).

**მომხმარებელი** - პიროვნება, რომელსაც ინტერნეტის მეშვეობით აქვს წვდომა საიტთან და შუძლია საიტის გამოყენება (მათ შორის საიტის, მაგრამ არ მხოლოდ საიტის ყველა ან ცალკეული სერვისების მომხმარებელი).

**პერსონალური მონაცემების სუბიექტი** - ფიზიკური პირი, რომელსაც ეკუთვნის პირადი მონაცემები და რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება (ამოცნობა) ან უკვე იდენტიფიცირებულია.

## 2. საიტის გამოყენების ზოგადი დებულებები

2.1. მომხმარებლის მიერ საიტის გამოყენება (საიტზე რეგისტრაციის პროცედურის გავლის გარეშე/პერსონალური მონაცემების შეყვანა და სხვა) გულისხმობს კონფიდენციალურობის პოლიტიკის ცალკეული დებულებების მიღებას, თუ ის არ ეხება მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რომელიც საჭიროებს მონაცემთა სუბიექტის დამოუკიდებელ თანხმობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა შეწყიტოს საიტით სარგებლობა.

2.2. კონფიდენციალურობის პოლიტიკა ვრცელდება მხოლოდ საიტზე https://www.ambulancedog.com/ (საიტის ყველა ქვედომენისა და ინდივიდუალური გვერდების ჩათვლით). საიტი არ აკონტროლებს და არ არის პასუხისმგებელი მესამე მხარის საიტებზე, სადაც მომხმარებელს შეუძლიათ გადასვლა საიტზე არსებული გადამისამართების ბმულებიდან.

2.3. საიტი არ მოწმებს მომხმარებლის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემების უტყუარობას (გარდა ელექტრონული ფოსტისა, რომელიც აუცილებელია მომხმარებლის რეგისტრაციისთვის).

## 3. პირადი მონაცემების დაცვის განაცხადი

3.1. ფონდი იღებს ყველა საჭირო ზომებს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვისა და მისი ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, მხოლოდ კანონიერი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში .

3.2. საიტს შეუძლია განაახლოს კონფიდენციალურობის პოლიტიკა თავისი შეხედულებისამებრ, მათ შორის, თუ ამას ითხოვს მოქმედი საჭიროების კანონმდებლობა. საიტზე დარეგისტრირებულ მომხმარებელს კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ განახლებული ინფორმაციის ნახვა შეუძლია უშუალოდ საიტზე (პირად კაბინეტში შეტყობინების მიღებით), საიტიდან ელექტრონული შეტყობინების საშუალებით, ან სხვა მეთოდებით, რომელიც დაშვებულია კანონით.

## 4. საიტის მიერ დამუშავებული პირადი მონაცემები

4.1. პერსონალური მონაცემები, რომელიც წინამდებარე კონფიდენციალური პოლიტიკის ფაგლებში ექვემდებარება დამუშავებას მოწოდებულია მომხმარებლის მხრიდან, საიტზე გარკვეული ფორმების შევსების დროს რეგისტრაციისას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელი და გვარი;

ბ) ელექტრონული ფოსტის მისამსართი (e-mail);

გ) მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონი;

დ) დაბადების თარიღი;

ე) საბანკო ბარათის ნომერი;

ვ) სხვა პერსონალური მონაცემები, რომელიც მომხმარებელს შეუძლია სურვილისამებრ განათავსოს პირად განყოფილებაში ელექტრონული წერილის, წერილობითი მომართვის, განცხადების, მიმართვის სახით;

4.2. ნებისმიერი სხვა პერსონალური მონაცემები, რომლებიც არ არის მითითებული ზემოთ (IP მისამართები, ბრაუზერები და ოპერაციული სისტემები, და ა.შ.) ექვემდებარება უსაფრთხოდ შენახვასა და გაუმჯღავნებლობას, გარდა ამ კონფიდენციალური პოლიტიკის ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**5. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების მიზნობრიობა**

5.1. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები (იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დათანხმდა მისი პირადი მონაცემების დამუშავებას ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნისათვის), საიტის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი მიზნებისთვის:

5.1.1. მომხმარებლისთვის ეფექტური სამომხმარებლო ტექნიკური მხარდაჭერის აღმოსაჩენად საიტის გამოყენებასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებში.

5.1.2. საიტზე რეგისტრაციისთვის მომხმარებლის იდენტიფიკაცია, მომხმარებელთან უკუკავშირის დამყარება, მათ შორის შეტყობინების გაგზავნა, საიტის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნის, ინფორმაციის მიწოდების, დამუშავების, მომხმარებლის მოთხოვნის დამუშავებისას.

5.1.3. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება, სხვადასხვა აპლიკაციების გამოყენებით, SMS შეტყობინებები, სხვა ტიპის / გადაცემის მეთოდის გამოყენებით, რათა მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საიტის შესახებ, მოქმედი და ახალი პროექტების შესახებ, და ასევე - მომხმარებლის სურვილებისა და საჭიროებების გასაგებად.

5.1.4. მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, მიაწოდოს საიტის პროექტების შესახებ განახლებული ინფორმაცია, საიტის სტატისტიკა, სპეციალური შეთავაზებები, მათ შორის ერთობლივი პროექტები და აქციები, საინფორმაციო ბიულეტენი და სხვა ინფორმაცია საიტის სახელით ან საიტის პარტნიორების სახელით.

5.1.5. საიტის სპეციალურ მონაცემთა ბაზაში მომხმარებლების პერსონალური მონაცემების შეგროვება და შეტანისათვის.

5.1.6. მომხმარებლის თანხმობით საინფორმაციო საქმიანობის განხორციელებისთის.

## 6. პირადი მონაცემების შენახვის ადგილი

6.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფონდი უზრუნველყოფს ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას იმ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლებიც იცავს მონაცემებს შემთხვევით ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლის, გამჟღავნების, გამოძალვის და უკანონო გამოყენების სხვა შემთხვევებისგან ან შემთხვევით ან უკანონო დანაკარგებისგან.

## 7. პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე პირისთვის

7.1. მომხმარებელი თანახმაა, ფონდის მიერ მესამე პირისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ან როდესაც ეს აუცილებელია საიტის წინაშე დასახული ამოცანების მისაღწევად.

7.2. საიტის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით (მომხმარებლისთვის ძირითადი და დამატებითი მომსახურების მიწოდებისთვის), საიტს შეუძლია გადასცეს პირადი მონაცემები მესამე პირებს, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: სახელმწიფო ორგანოებს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში), საიტის პარტნიორებს, დეველოპერებს (მოდიფიკაციის, საიტის გაუმჯობესების და კორექტირების, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა ბაზებთან ურთიერთქმედებას).

## 8. მონაცემთა დაცვის (უსაფრთხოების) ზომები

8.1. პერსონალური მონაცემების შენახვის მიზნით, საიტი ატარებს ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც იცავს პერსონალურ მონაცემებს არასანქცირებული ან უკანონო დამუშავებისგან ან შემთხვევით დაკარგვისგან, განადგურებისგან ან დაზიანებისგან.

8.2. საიტი იცავს პერსონალური მონაცემების მინიმალური გამოყენების პრინციპებს, ახდენს მომხმარებლის მხოლოდ და მხოლოდ იმ ინფორმაციის დამუშავებას რომელიც აუცილებიელია, ან რომელიც მომხმარებლის მიერ იქნა მოწოდებული დამატებით საკუთარი თანხმობით. საიტის ინტერფეისი და აპლიკაციები მოწყობილია მომხმარებლის მაქსიმალური კონფიდენციალურობის დასაცავად.

8.3. მომხმარებელმა უნდა მიაწოდოს მინიმალურად აუცილებელი პერსონალური მონაცემები, რომელიც საჭიროა მომსახურების/სერვისის მისაღებად, საინფორმაციო გზავნილების ან კითხვებზე/პრეტენზიებზე პასუხებისთვის. ამავდროეულად, თუ მომხმარებელი გადაწყვეტს მიაწოდოს საიტს დამატებითი პერსონალური ხასიათის ინფორმაცია, საიტი დაამუშავებს ასეთ ინფორმაციას უსაფრთხოების აუცილებელი ზომების დაცვით.

8.4. პერსონალური მონაცემების დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში, საიტი აცნობებს მომხმარებელს მომხდარის შესახებ. საიტი მომხმარებელთან ერთად იღებს ყველა საჭირო ზომას, პერსონალური მონაცემების დაკარგვა/გამჟღავნებით გამოწვეული ზარალისა და უარყოფითი შედეგების თავიდან იცილების მიზნით.

8.5. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში, საიტმა, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ პერსონალური მონაცემების დარღვევის ზედამხედველ ორგანოებს , ასეთი დარღვევიდან არა უგვიანეს 72 საათისა, თუ ეს შესაძლებელია. მოცემული კონფიდენციალური პოლიტიკის ზედამხედველობის ორგანოში იგულისხმება საქართველოს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი. თუ ზედამხედველობის ორგანოში შეტყობინება არ არის მიწოდებული მითითებულ დროში, საიტმა უნდა დაასაბუთოს ამგვარი დაგვიანების მიზეზები.

**9. პერსონალური მონაცემების დამუშავების (შენახვის) მეთოდები და ვადები**

9.1 მომხმარებლის პირადი მონაცემების დამუშავება ხორციელდება, სანამ მომხმარებელი დარეგისტრირებულია საიტზე, ყველა სამართლებრივი გზით, მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება შეწყდება, თუ მომხმარებელი უარს განაცხადებს ასეთ დამუშავებაზე, საბოლოოდ შეწყვეტს საიტით სარგებლობას ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.2 საიტი არ ინახავს მომხმარებლის მონაცემებს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს საჭიროა იმ მიზნებისთვის, რომლისთვისაც ის მუშავდება, ან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

9.3 პერსონალური მონაცემების შენახვის სათანადო პერიოდის განსაზღვრის მიზნით, საიტი განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების ხასიათს და კატეგორიას, დამუშავების მიზანს, აგრეთვე სხვა საშუალებით დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას (პერსონალური მონაცემების გამოყენების გარეშე).

**10. პირადი მონაცემების სუბიექტის უფლებები**

10.1 პერსონალური მონაცემების სუბიექტების უფლებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

10.1.1. შემდეგი ინფორმაციის მიღება ( წინამდებარე ინფორმაციის წარდგენა ნებაყოფლობითია, თუ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს იგი უკვე აქვს):

ა) ინფორმაციის დამმუშავებელი პირის და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობა და რეგისტრაციის მისამართი;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;

გ) სავალდებულოა თუ არა მონაცემთა გადაცემა.თუ სავალდებულოა მომხმარებელს შეუძ Ъია მოითხოვოს, მისი უარყოფის შემთხვევში სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება;

დ) მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც ეხება დამუშავებული ინფორმაციის მიღების, შესწორებას, განახლებას, დამატებას, ბლოკირებას, წაშლას ან განადგურებას;

10.1.2. მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღება (მონაცემთა სუბიექტის ფორმა შერჩეულია მონაცემთა სუბიექტის მიერ), კერძოდ:

ა) სუბიექტის პერსონალური მონაცები რომელიც ექვემდებარება დამუშავებას;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;

გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები;

დ) თუ რა მეთოდებით მოხდა მონაცემების შეგროვება;

ე) თუ ვისთვის, რა მიზნების და მიზეზების გამო გადაეცა ინფორმაცია (ინფორმაციის გადაცემა არ არის საჭირო, თუ მონაცემები ისედაც საჯაროა კანონმდებლობის შესაბამისად).

10.2. პერსონალური მონაცემების შესწორების, განახლების, დამატების, ბლოკირების, წაშლის ან განადგურების მოთხოვნა, თუ ის არასრულყოფილია, არასწორია, არ არის განახლებული ან უკანონოდაა შეგროვებული და დამუშავებული. ასეთ შემთხვევაში დამმუშავებელი პირი ატყობინებს მომხმარებელს ინფორმაციის კორექტირების, განახლების, დამატების, ბლოკირების, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ინფორმაციის მიმღები ადრესატების რაოდენობა მრავალრიცხოვანია და არაპროპორციულ ხარჯებთანაა დაკავშირებული (ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ უნდა ეცნობოს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს);

10.3. პირადი მონაცემების სუბიექტების განსაზღვრული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი განხორციელების შედეგად არის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისთვის დამატებითი საფრთხეების შექმნის რისკი. ასეთ შემთხვევაში, მონაცემთა

სუბიექტს უნდა ეცნობოს პირის პერსონალური მონაცემების დამუშავების გადაწყვეტილება ისე, რომ არ შეიზღუდოს უფლებების შეზღუდვის მიზანი.

**11. მიმართვა პერსონალური მონაცემების საკითხებთან დაკავშირებით**

11.1. მომხმარებელთა განაცხადეები პერსონალური მონაცემების ან/და კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ (კითხვები, შენიშვნები, საჩივრები, სურვილები და ა.შ. თვალსაზრისით, პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების შესახებ) მიიღება ფონდის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: dogambulance@gmail.com

11.2. პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცედურის შესახებ საჩივრებისა და წინადადებების შესახებ (თუ პერსონალური მონაცემების სუბიექტის მიერ აღმოჩენილია დარღვევები პერსონალური მონაცემების დამუშავების თანმიმდევრობაში), მომხმარებელს ასევე შეუძლია მიმართოს საქართველოს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს ან/და სასამართლოს.